პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 თებერვალი სამშაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 30 (15851)

XXXV

დღეს გაიხსნება საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXV კონფერენცია

მხურვალე სალამი კონფერენციის დელეგატებს!

დედაქალაქის კომუნისტები

ღეს თბილისელ კომუნისტთა წარგზავნილები თავიანთ დიდ ფორუმზე შეიკრიბებიან, რომ გააანალიზონ და შეაფასონ საქალაქო პარტიული ორგანიზაციის არჩევითი ორგანოების განვლილი მუშაობა, შეიმუშაონ მომავალი საქმიანობის ღრმად მოფიქრებული, კონკრეტული წინადადებანი და აირჩიონ ხელმძღვანელი ორგანოების ახალი შემადგენლობანი.

თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენცია პირველად იმართება ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ. ამიტომ ამ კონფერენციის მნიშვნელობა განსაკუთრებულია. სწორედ მან უნდა გასცეს ზუსტი და ამომწურავი პასუხი იმაზე, თუ რა გაკეთდა დღემდე, რა მუშაობა გასწია მთელმა საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, როგორია ამ ბრძოლის სიმწვავე და დონე, აკმაყოფილებს თუ არა იგი მეცხრე ხუთწლედით გათვალისწინებულ ქვეყნის სახიცოცხლო ამოცანების გადაჭრას.

მთელი საანგარიშო პერიოდი ხამუშაოდ მეტად ძნელი და დაძაბული იყო. ძნელი იმიტომ, რომ რამდენიმე წლის მანძილზე, როგორც მთელს რესპუბლიკაში, ისე მის დედაქალაქში ფუსფუსმდგარი სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი ხელს უშლიდა, ბორკავდა ადამიანთა შემოქმედებითი ძალების აღზევებას, ანელებდა ჩვენს საერთო შრომასა და აღმშენებლობას. კკკ ცენტრალური კომიტეტი თავისი ცნობილი დადგენილებით — „კკკ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციულ და კოლექტიკური მუშაობის შესახებ“ — დროულად ჩაერია საქმეში და ამით თბილისელ კომუნისტებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს მიეცათ თანამედროვე ეტაპზე მოქმედების კონკრეტული სახელმძღვანელო. ეს იყო ერთერთი მკაფიო გამოხატულება იმ დიდი ზრუნვისა, რასაც ჩვენი პარტია თავისი ადგილობრივი ორგანიზაციებისადმი იჩენს. თუმცა, დღეს ერთხელ კიდევ უნდა ვაღიაროთ, რომ, სამწუხაროდ, თავდაპირველად ამ დადგენილების განსახორციელებლად ხალისით როდი ჩაება ყველა, ზოგ პარტიულ ორგანიზაციასა და შრომითს კოლექტივში ისეთი პოზიციაც დაიკავეს, თითქოს ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მათ არც კი ეხებოდათ.

და აი უკვე მეორე წელია, რაც ჩვენს რესპუბლიკაში პრინციპული, დაუნდობელი, შეტევითი ბრძოლა გაჩაღდა ყოველგვარი ნაკლისა და დამახინჯების წინააღმდეგ. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც ტონს დედაქალაქის — თბილისის კომუნისტები ანძლევენ, კკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, ავრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებებში პოულობენ ზუსტ და ამომწურავ პასუხებს იმაზე, თუ როგორ აღადგინონ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები, როგორ განამტკიცონ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, როგორ აღვადგინონ ნაგულისხმევი, ბოლო ორი დღით ადრე — გაანალიზა. დიდი ხნის მანძილზე პირველად შეასრულეს წლიური გეგმა მშენებლებმა. საგულისხმო მიღწევებია ეკონომიკისა და კულტურის სხვა დარგებშიც.

პარტიისადმი, ხალხისადმი კკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ ახალი ძალით გამოავლინა თბილისელთა შემოქმედებითი ენერგია და ენთუზიაზმი. შრომითს კოლექტივებში, პარტიულ ორგანიზაციებში ყოველდღიურად იბადება და ჩნდება ახალ-ახალი ინიციატივა, თაოსნობა, რაც მიმართულია ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით განსაღდებლად. წინა პლანზეა ზრუნვა წარმოების ეფექტიანობისათვის, შინაგანი რეზერვების სრულად გამოყენებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის.

ამ და სხვა გაწეულ მუშაობაზე რომ იქნება საუბარი, ბუნებრივია, ამასთან ერთად პარტიულ კონფერენციაზე უფრო მეტი უნდა ითქვას, მეტი ყურადღება მიექცეს მთელ რიგ გადაუჭრელ პრობლემებს, მრავალ გადაუწყვეტელ ამოცანას.

ვ. ი. ლენინი კომუნისტებს მუდამ აფრთხილებდა: „ძირს ბაქიაობა! სერიოზული მუშაობისათვის. დისციპლინისა და ორგანიზაციისათვის!“ სწორედ ეს ლენინური მითითება უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს ყოველდღიურ მუშაობას და კონფერენციაზეც ყოველი დელეგატის გამოსვლას.

თვითმაყოფილებისათვის როდი გვცალია და არცა გვაქვს საქმე საამისოდ. თუ იმავე წლიური გეგმების შესრულების მაჩვენებლებს ღრმად ჩავიკვირდებით, თუ ეკონომიკის ცოდნით, მეცნიერულად განვმტკიცებ ყოველივეს, თვალნათლივ დავინახავთ, რომ საერთო მაჩვენებლებისა და საერთო ციფრების მიღმა ბევრი ნაკლი და ხარვეზია, რომ ყველა საწარმო, ყველა დაწესებულება, ყველა ორგანიზაცია სრულად როდი იყენებს წინსვლის აუოაცხელ რეზერვებსა და საშუალებებს, რომ არიან ჩამორჩენილი კოლექტივებიც და ისეთებიც, რომლებიც წინ არ იყურებიან, მუდამ ერთ ადგილს ტკეპნინ. მაგალითად, გაერთიანება „ელვას“ მართული გამომთვლელი მანქანების ქარხანაში უკიდურესად არადამაკმაყოფილებელია ფონდუკუგება.

ცუდად იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს მსუბუქი მრეწველობის ცალკეულ დარგებში. თბილისის საწარმოთა შორი გამოშვებული ორი ათასი დასახელების ნაწარმიდან მხოლოდ 69-ს აქვს მინიჭებული ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. მეტად დიდი შრომაა საჭირო იმისათვის, რომ აღდგეს ხუთწლედის გასული სამი წლის მანძილზე გაუკეთებელი და დაკარგული.

ყველა საქმის წარმატების ბედს უშუალოდ კადრები, ადამიანები წყვეტენ. აი რატომ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ასე დაბეჯითებით მოითხოვს ჩვენი შრომისა და ცხოვრების ყველა უბანზე კომუნისტების, ჩვენი კადრების პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებას.

ერთი წუთითაც არ უნდა შევანელოთ ბრძოლა, კიდევ უფრო მძლავრად უნდა შეუტანიოთ იმ ნაკლოვანებებს, დარღვევებსა და დანაშაულს, რაც ჯერ კიდევ არცთუ იშვიათად გვხვდება. გაფლანგვა-დატაცებანი, გამოძალვის, მექრთამეობის, მოპარულთა ზომა-წონაში მოტყუების და სხვადასხვა ამრარალური ქცევის ფაქტები იმაზე მიუთითებენ, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ყველგან ვერ გარდაქმნეს თავიანთი საქმიანობა ახალ მოთხოვნათა დონეზე, იჩენენ საქმეში ინერტულობასა და სიზანტეს.

სერიოზული ნაკლოვანებანია ჩვენს იდეოლოგიურ და, საერთოდ, ადამიანთა აღმზრდელობითს მუშაობაში. იგი ხშირად ჯერ კიდევ მოწყვეტილია ცხოვრებას. ჩვენი მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებს.

ეჭვი არ არის, თბილისის საქალაქო XXXV პარტიული კონფერენცია ღრმად და საქმიანად განიხილავს ცხოვრების მოგზიფულ საკითხებს, კრიტიკულად შეაფასებს განვლილ მუშაობას და მისი მკვეთრად გაუმჯობესების ყოველმხრივ მოფიქრებულ, კონკრეტულ ღონისძიებებს დასახავს.

სსრ კავშირი-კუბა: ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა

მეგობრობისა და ძმობის ვიზიტი

1974 წლის 28 იანვრიდან 3 თებერვლამდე კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის **ფიდელ კასტრო რუსის** მოწვევით კუბაში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი.**

ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევსა** და **ფიდელ კასტროს** შორის გაიმართა შეხვედრები და საუბრები, რომელთა დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები, ბევრი აქტუალური საერთაშორისო პრობლემა. საუბრები მიმდინარეობდა გულითად ვითარებაში და კვლავ დადასტურა სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კუბის კომუნისტური პარტიის სრული ურთიერთგაგება, მათი მიზნებისა და პოზიციების ერთიანობა, ურყევი ერთგულება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისადმი, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის საქმისადმი.

საუბრებში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ვ. შჩერბიცკი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ვ. რომანოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. თ. კატუშევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სამოქალაქო აviაციის მინისტრი **ბ. პ. ბუგაევი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ტ. ტოლუბეევი,** ავრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. ი. ბლატოვი,** სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი **ლ. მ. ზამიატინი.**

კუბის მხრივ — კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები — ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **რაულ კასტრო,** რესპუბლიკის პრეზიდენტი **ოსვალდო დორტიკოსი, რამირო ვალდესი, არმანდო ხარტი, გილიერმო გარსია, სერხიო დელ ვალიე,** კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრები **ბლას როკა** და **კარლოს რაფაელ როდრიგესი;** ცენტრალური კომიტეტის წევრები — საგარეო საქმეთა მინისტრი **რაულ როა,** კუბის სამოქალაქო aviაციის ინსტიტუტის დირექტორი **ხოსე ალვარეს ბრავო, ხესუს მონტანე, ოსმანი სიენფუეგოსი, ხ. ანტონიო ნარანხო,** კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **სეფერო აგირე,** აგრეთვე ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ეროვნული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ექტორ როდრიგეს ლიომპარტი.**

ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი კუბაში მოასწავებს ახალ დიდმნიშვნელოვან ეტაპს საბჭოთა კავშირ-კუბის თანამშრომლობის განვითარებაში. ორი მოძმე პარტიის ხელმძღვანელებმა მიიღეს საბჭოთა კავშირ-კუბის ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც შეიცავს ორი მოძმე პარტიისა და ხალხის ყოველმხრივი კავშირურთიერთობის გაღრმავების, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში, საერთაშორისო ასპარეზზე საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში მათი მჭიდრო ურთიერთმოქმედების ერცელ პროგრამას.

გაიმართა აგრეთვე შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობდნენ: **ა. ა. გრომიკო, კ. თ. კატუშევი** და **კ. რ. როდრიგესი, რ. როა, ო. სიენფუეგოსი; ვ. ვ. შჩერბიცკი, გ. ვ. რომანოვი, ნ. ტ. ტოლუბეევი** და კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარე **ჰ. მარინელიო,** ასოციაციის სხვა ხელმძღვანელები; **ი. ვ. არხიპოვი** და კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი **პ. მირეტი,** კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილეები **ჟ. დომენეჩი, დ. ტორალბა; ბ. პ. ბუგაევი** და **ხ. ალვარეს ბრავო.** ამ შეხვედრების დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-კუბის თანამშრომლობის სხვადასხვა საკითხი.

ვიზიტის დროს ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ა. გრომიკო, ვ. ვ. შჩერბიცკი, გ. ვ. რომანოვი, კ. თ. კატუშევი და სხვა საბჭოთა ამხანაგები გაეცნენ კუბელი ხალხის ცხოვრებასა და შრომას, იყვნენ მთელ რიგ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, სასწავლებლებში, შეხვდნენ და ესაუბრნენ მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს. ეს შეხვედრები და საუბრები გამსჭვალული იყო უაღრესი მეგობრული გრძნობებითა და გულითადობით, რაც დამახასიათებელია სსრ კავშირისა და კუბის ურთიერთობისათვის. ამ შეხვედრებითა და საუბრებით გამოიხატა კუბელი ხალხის ღრმა ძმური გრძნობები საბჭოთა ხალხისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი, მისი ხელმძღვანელებისადმი.

ჰავანის რევოლუციის მოედანზე გამართული მასობრივი მიტინგი, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს ფიდელ კასტრომ და ლ. ი. ბრეჟნევმა, გადაიქცა საბჭოთა კავშირ-კუბის ურღვევი მეგობრობის მკაფიო შთამბეჭდავ მანიფესტაციად.

კუბელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის გმირთა ხსოვნასა და მათი ეიჯაცობის გამო აღტაცების ნიშნად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გვირგვინით შეამკო კუბის დიდი შვილის ხოსე მარტის ძეგლი.

საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ვ. ი. ლენინის სახელობის საშუალო პოლიტექნიკური სკოლა-ინტერნატი, რომელშიც სწავლობს 4.500 ბავშვი. კუბის სახალხო განათლების შემდგომ განვითარებაში ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენისადმი მძღვნელ დიდ საღამოსასწაულო მიტინგზე გამოვიდნენ ფიდელ კასტრო და ლ. ი. ბრეჟნევი.

ლ. ი. ბრეჟნევი და სხვა საბჭოთა ამხანაგები **ფიდელ კასტროსთან,** კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოს წევრებთან ერთად ეწვევნენ ორიენტეს პროვინციის მთავარ ქალაქს სანტიაგო-დე-კუბას, სადაც მათ გულთბილად შეხვდნენ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი **ხუან ალმეიდა,** კუბის კომპარტიის პროვინციული კომიტეტის წევრები. კუბელი ხალხის რევოლუციურ ბრძოლასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილების დათვალიერების დროს საბჭოთა მეგობრებს გულთბილად მიესალმნენ ქალაქისა და პროვინციის მცხოვრებლები.

კუბაში ყოფნის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს **ლ. ი. ბრეჟნევს** გადაეცა კუბის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო — ხოსე მარტის ორდენი, რომელიც მას მიენიჭა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური კუბის ძმური მეგობრობის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის საკეთილდღეოდ დაუცხრომელი მოღვაწეობისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და კუბის რესპუბლიკის რევოლუციურ მთავრობას, მთელ კუბელ ხალხს მხურვალე, ძმური მასპინძლობისათვის, რომელიც მასა და მის თანმხლებ პირებს გაუწიეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით **ლ. ი. ბრეჟნევმა** კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრს **ფიდელ კასტროს,** კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტს **ოსვალდო დორტიკოსს,** კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს, პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილეს **რაულ კასტროს** სთხოვა ეწვიონ საბჭოთა კავშირს მეგობრული ვიზიტით. ამ მიწვევას მადლობით დათანხმდნენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც ოფიციალური მეგობრული ვიზიტით კუბას რესპუბლიკაში ემყოფებოდა, 3 თებერვალს ჰავანიდან სამშობლოში გამემგზავრა.

სურათზე: „ხოსე მარტის“ აეროპორტში გაცილების დროს. საკლესის ტელეფოტო.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ჰავანიდან გამოემგზავრა

3 თებერვალს ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით, საბჭოთა კავშირისა და კუბის ალმებით სახეებიმოდ მორთულ ჰავანის ქუჩებში და მოედნებზე კვლავ შეიკრიბა კუბის დედაქალაქის ასეულ ათასობით მშრომელი. ისინი აქ მოვიდნენ იმისათვის, რომ ეზა დაელოცათ ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევისათვის,** სხვა საბჭოთა სტუმრებისათვის.

ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევთან** ერთად აეროპორტში მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ვ. შჩერბიცკი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ვ. რომანოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. თ. კატუშევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სამოქალაქო aviაციის მინისტრი **ბ. პ. ბუგაევი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ი. ვ. არხიპოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **კ. ვ. რუსაკოვი,** სკკპ ცენტრალური საერევნიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **ა. მ. ალექსანდროვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **ა. ი. ბლატოვი,** სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, საკადესის გენერალური დირექტორი **ლ. მ. ზამიატინი,** ჰავანიდან ამხანაგ ბრეჟნევთან ერთად მიეგზავრებიან.

სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ „ხოსე მარტის“ აეროპორტში **ლ. ი. ბრეჟნევი,** სხვა საბჭოთა ამხანაგები გეაცილეს კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა **ფიდელ კასტრომ,** კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **რაულ კასტრომ,** კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, **ოსვალდო დორტიკოსმა.** კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოს სხვა წევრებმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა **რაულ რომ,** რევოლუციური მთავრობის სხვა წევრებმა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში **ნ. ტ. ტოლუბეევი,** საელჩოსა და კუბაში სხვა საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლები.

აეროდრომზე იყვნენ კუბის რესპუბლიკაში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები.

შესრულდა კუბის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ჰიმნები. ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ფ. კასტრომ ჩამოთარეს სამეგობრო ყაირათის მწყობრს. ლეონიდ ილიას-ძე მიესალმა კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მეომრებს. შემდეგ იგი მივიდა აეროდრომზე შეკრებილ მშრომელთა წარმომადგენლებთან და გულთბილად გამოეშვიდობა მათ. პასუხად გაისმა ტაში და შეძახილები „სსრ კავშირი-კუბა-ერთადა!“, „ბრეჟნევ-ფიდელ!“.

თვითმფრინავის კიბესთან ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს და მასთან ერთად მიმავალ საბჭოთა ამხანაგებს გულთბილად, ძმურად გამოეთხოვნენ ამხანაგები ფიდელ კასტრო, რაულ კასტრო, ოსვალდო დორტიკოსი, უსურვეს საბჭოთა მეგობრებს ბედნიერი მგზავრობა.

(საკდესის ხპეც. კორ.).

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვს დაბრუნდა

4 თებერვალს მოსკოვს დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი,** რომელიც ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა კუბის რესპუბლიკაში კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის **ფიდელ კასტრო რუსის** მიწვევით.

ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევთან** ერთად დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ვ. შჩერბიცკი.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ვ. რომანოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. თ. კატუშევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სამოქალაქო aviაციის მინისტრი **ბ. პ. ბუგაევი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ი. ვ. არხიპოვი,** აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა კუბის რესპუბლიკაში **ნ. ტ. ტოლუბეევი,** სხვა საბჭოთა სტუმრებისათვის.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად ჰავანიდან ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევი,** ამხანაგ **ბ. პ. ბუგაევი,** ამხანაგ **ნ. ტ. ტოლუბეევი,** ამხანაგ **ა. ა. გრომიკო,** ამხანაგ **ვ. ვ. შჩერბიცკი,** ამხანაგ **გ. ვ. რომანოვი,** ამხანაგ **კ. თ. კატუშევი,** ამხანაგ **ა. ი. ბლატოვი,** ამხანაგ **ლ. მ. ზამიატინი,** ამხანაგ **ი. ვ. არხიპოვი,** ამხანაგ **ა. ა. ალექსანდროვი,** ამხანაგ **ა. ი. ბლატოვი,** ამხანაგ **ლ. მ. ზამიატინი.**

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევს** შეხვდნენ ამხანაგები **ი. ა. ანდროპოვი, ა. ა. გრეჩკო, ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, პ. მ. მაშეროვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები **ბ. ა. აბრასიმოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, კ. უ. ჩერნენკო, გ. ე. ცუკანოვი, ნ. ა. შჩოლოკოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი **ს. კ. ცვიგუნი,** სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები **ო. ბ. რახმანინი, გ. კ. ცინევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **ვ. ა. გოლიკოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველის პირველი მოადგილე **მ. ი. კუზნეცოვი.**

შემხვედრთა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირში კუბის რესპუბლიკის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

ამავე თვითმფრინავით მოსკოვს ჩამოვიდა კუბის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში **სეფერო აგირე დელ კრისტო.** (საკდესი).

საგულვრად კუბის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კუბის კომუნისტური პარტიის ურღვევი ძმური მეგობრობის ნიშნად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** 2 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საჩუქრად გადასცა ვ. ი. ლენინის ბრინჯაოს სკულპტურული პორტრეტი, რომელიც შეასრულა სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა **ლ. კერბელმა.**

(საკდესი).

საპასუხო დეპეშა

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ე. ჰიტმა 4 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიც მადლობას გამოთქვამს კეთილი სურვილებისათვის, რომლებიც ლ. ი. ბრეჟნევმა გადასცა თვითმფრინავიდან 28 იანვრის დეპეშით.

გისურვებთ თქვენ და საბჭოთა ხალხს, ნათქვამია დეპეშაში, კეთილდღეობასა და აყვავებას. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-კუბის დეკლარაცია

კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტრო რუსის მოწვევით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი 1974 წლის 28 იანვრიდან 3 თებერვლამდე ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო კუბაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პირველმა ვიზიტმა ლათინური ამერიკის პირველ ქვეყანაში, რომელიც სოციალიზმს აშენებს, რევოლუციური ენთუზიაზმისა და ამხანაგური სოლიდარობის ცხოველი გამოვლინება გამოიწვია კუბელ მშრომელებში, ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის განვითარებაში. ამ დღეებში ახალი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ურღვევმა ერთიანობამ და ამხანაგურმა სოლიდარობამ, რომლებიც სსრ კავშირსა და კუბას აერთიანებს, დაიხატა მათი ძმური თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების გზები. ორივე ქვეყნის საშინაო განვითარების გამოცდილების ურთიერთ გაზიარება სასარგებლო და მნიშვნელოვანი იყო. საბჭოთა კავშირისა და კუბის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ საესებით ერთნაირი შეხედულებანი აქვთ მსოფლიოში თანამედროვე მდგომარეობისა და სოციალისტურ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ამოცანების, სახელმწიფოთა და ხალხთა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სუვერენულ უფლებათა დაცვის პოლიტიკის, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების მიმართ.

მტკიცე ნაბიჯი სოციალიზმის და კომუნიზმის გზაზე

კუბის კომუნისტური პარტია დიდად აფასებს იმ აღმშენებლობაო საქმიანობის ისტორიულ მნიშვნელობას, რასაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი ეწევიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის წარმატებით დამთავრებას ახალ მიჯნებზე გამოჰყავს საბჭოთა ეკონომიკა — განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკა. გადაეჯარბებით შესრულდა 1973 წლის საგეგმო დავალებანი მრეწველობის პროდუქციის გამოშვების, შრომის ნაყოფიერების ზრდის — საზოგადოებრივი წარმოებულების ეფექტიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებლის დარგში. ქვეყანაში შექმნილია ახალი მსხვილი სამრეწველო კომპლექსები, წარმატებით ხდება ბუნებრივ სიმდიდრეთა ახლად აღმოჩენილი საბადოების ათვისება.

სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებებს მოჰყვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა. განვლილ წელს აღებულია მარცვლეულს, ბამბისა და მთელი რიგი სხვა კულტურების ყველაზე უხვი მოსავალი.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

საბჭოთა კავშირ-კუბის დეკლარაცია

(დასასრული)

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის ცენტრში დგას საკითხები მთელი საბჭოთა ეკონომიკის ახალი აღმავლობისა მეცხიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების ფართოდ დანერგვის, დაგეგმვისა და მართვის სისტემის სრულყოფის საფუძველზე. გეგმაზომიერად ხორციელდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ვრცელი პროგრამა.

პარტიის მიერ შემუშავებული მიზნების მიღწევისათვის ხალხის შემოქმედებითი ძალების მობილიზაციის ნაცადი მეთოდია საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების გაწმენ. საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულება. შემხვედრი გეგმები, მშრომელთა აქტიური და ინიციატივიანი ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის — ყოველივე ეს სულ უფრო აძლიერებს საბჭოთა ქვეყანას. ხელს უწყობს კომუნიზმის აშენების მსოფლიო-ისტორიული ამოცანის გადაჭრას.

კუბელი ხალხი მხურვალედ მიესალმება მოძმე საბჭოთა ხალხის წარმატებებს. სსრ კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას, წარმატებებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. სსრ კავშირის მიღწევები აღფრთოვანებენ სხვა სოციალისტურ ქვეყნებს, ახალ ძალებს მატებენ ყველას, ვინც იცავს თავისუფლების, დემოკრატიის ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის საქმეს. სულ უფრო მტკიცე მატერიალურ საფუძველს ქმნიან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი მაღალ შეფასებას აძლევენ თავისა კომუნისტური პარტიის გარშემო შეკავშირებული კუბელი ხალხის წარმატებებს იმ დიდი ამოცანის განხორციელებაში, რომ ააშენონ სოციალისტური საზოგადოება — ექსპლოატაციისგან თავისუფალი საზოგადოება, რომელსაც თვით მშრომელნი მართავენ მთელი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

ღრმა სოციალურ-ეკონომიურმა გარდაქმნებმა და უდიდესმა პროგრესმა კულტურულ მშენებლობაში არა მარტო ძირეულად შეცვალა კუბელი ხალხის ცხოვრება. არამედ აგრეთვე შთამაგონებელი მაგალითი გახდა ბევრი სხვა ხალხისათვის, რომლებიც ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის იბრძვიან.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამჟამად წარმოებულ მუშაობას კუბის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის. პარტიული რიგების განმტკიცებისათვის, პარტიის ყრილობის მომზადებისათვის, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის ცენტრალიზებული დაგეგმვისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების სულისკვეთებით ხალხის ფართო მასების აღზრდისათვის.

მონკადის აჯანყების გმირული შტურმის მე-20 წლისთავი და კუბის რევოლუციის გამარჯვების მე-15 წლისთავი, რომლებიც ფართოდ აღინიშნა ახლახან, ფაქტიურად ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ მშენებლობაში კუბის მიღწევათა საყოველთაო-სახალხო დათვალიერება გახდა. კუბის მუშათა კლასის და ყველა მშრომელის პოლიტიკურ აქტიურობისა და შრომითი აქტივობის ზრდას ხელი შეუწყო კუბის პროფკავშირთა XIII ყრილობამ.

ყოველივე ეს მჭეკრმეტყველურად მოწმობს, რომ კუბაში ჩქეფს პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრება. რომ კუბელ კომუნისტებს მაღლა უჭირავთ კუბელი ხალხის რევოლუციურ ტრადიციათა სახელოვან დროშა, რომ განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო კუბის სოციალისტურ რევოლუციაში, რომელიც განმტკიცებს და აღრმავებს მიღწეულ წარმატებებს.

მტკიცდება და ვითარდება საბჭოთა კავშირისა და კუბის ძმური მეგობრობა

საბჭოთა კავშირი და კუბა დარწმუნებული არიან, რომ საბჭოთა და კუბელი ხალხების, საბჭოთა კავშირისა და კუბის კომუნისტური პარტიების ურღვევი მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა შეესაბამება ორი ქვეყნის მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ძირეულ ინტერესებს, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კეთილმეზობელნო სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებით და სრული თანასწორუფლებიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით ყოველნაირად განმტკიცონ და განავითარონ საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობა — სოციალური წყობილების ერთობრივ და სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში მიზნების ერთიანობით შედუღაბებული ორი ქვეყნის ხალხთა უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი.

ყველფერი გაკეთდება იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირისა და კუბის ხალხები უკეთ გაეცნონ ერთმანეთის ცხოვრებას, კულტურას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეურნეო და მეცნიერულ-ტექნიკურ გამოცდილებას, რომ განუწყვეტელი ფართოვდებოდეს საბჭოთა კავშირ-კუბის თანამშრომლობა კომპარტიებს. საბჭოფო ორგანოებს, პროფკავშირების, ახალგაზრდობის, ქალთა და სხვა მასობრივი ორგანიზაციების ხაზით, კონტაქტები ორი ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს წარმომადგენლებს შორის.

დღენიადაგ განვითარდება და გაუმჯობესდება ორი ქვეყნის ეკონომიური, სავაჭრო და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა გეგმაზომიერ, ხანგრძლივ საფუძველზე. ამასთან იხელმძღვანელებენ, კერძოდ, 1972 წელს ხელმოწერილი ეკონომიური შეთანხმებიმ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეკონომიური თანამშრომლობის ეფექტიანობის ამაღლებას.

გაფართოვდება თანამშრომლობა საბჭოთა კავშირისა და კუბის საგეგმო ორგანოებს შორის, ორივე ქვეყნის სამინისტროებსა და უწყებებს შორის, უშუალო კავშირურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და კუბის საწარმოო კოლექტივებს შორის.

ორ მთავრობას შორის დადებული შეთანხმებების შესაბამისად საბჭოთა კავშირი სოციალისტურ კუბას დაეხმარება ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განვითარებაში, კუბის ეკონომიკის სხვადასხვა დარგისათვის საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადებაში.

მხარეები ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირისა და კუბის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, სასწავლებლების შემოქმედებითი კავშირების კონტაქტებსა და კონსულტაციულ თანამშრომლობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით დადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის კვლავაც დახმარება და მხარდაჭერა გაუწიოს კუბას ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კუბის კომუნისტური პარტიის რევოლუციური მთავრობისა და მთელი კუბელი ხალხის სახელით უდიდესი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ქვეყანას ინტერნაციონალური სოლიდარობისათვის, ძმური დახმარებისათვის, რომელსაც კუბას უწევს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ყველა დარგში.

სსრ კავშირისა და კუბის კომუნისტები საერთო საქმისათვის ბრძოლის ერთიან მწყობრში

საბჭოთა კავშირ-კუბის ურღვევი მეგობრობის უღრმეს საფუძველს შეადგენს ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და კუბის კომპარტიას შორის, ორ რევოლუციურ-მარქსისტულ-ლენინურ პარტიას შორის. რომლებმაც მთელი თავიანთი საქმიანობა მიუღიღნეს ბრძოლას მშრომელი ხალხის ბედნერებისათვის, სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. ამ თანამშრომლობის განვითარება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და კუბის კომპარტიას მიაჩნიათ უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და კუბის კომპარტია გენერალურ გააფართოებენ და სრულყოფენ თავიანთ თანამშრომლობას ყველა დონეზე, რეგულარულად გაცვლიან პარტიული მუშაობის დელეგაციებს, განამტკიცებენ პარტიული პრესის კონტაქტებს, ყოველნაირად გააფართოებენ სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

თანამედროვე პირობებში, როცა არ ნელდება იდეოლოგიური ბრძოლა მსოფლიო ასპარეზზე, როცა რეაქციული პროპაგანდა განუწყვეტლივ ცდილობს ციალსწამების ბურუსში გახვიოს სოციალიზმის ქვეყნები, თავიანი ქვეყნების ხალხთა წინაშე დაამაბინძოს სიმართლე სოციალიზმის შესახებ, რათა ამგვარად ყურადღება ჩამოაცილოს კაპიტალისტური სისტემის მზარდ შინაგან კრიზისს, ორი მოძმე პარტია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განუხრელად და ეფექტიანად უნდა ამხილონ ფილოსოფოსებელნი, საკადრისი პასუხი გასცენ ანტისოციალისტური ძალების იდეოლოგიური დივერსიის ყოველ ფორმას, ამასთან ფართოდ გააცნონ მსოფლიო საზოგადოებრიობას სოციალისტურ ქვეყნების ცხოვრება.

საბჭოთა კავშირ-კუბის ურღვევი მეგობრობა უღრმეს საფუძველს შეადგენს ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და კუბის კომპარტიას შორის, ორ რევოლუციურ-მარქსისტულ-ლენინურ პარტიას შორის. რომლებმაც მთელი თავიანთი საქმიანობა მიუღიღნეს ბრძოლას მშრომელი ხალხის ბედნერებისათვის, სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. ამ თანამშრომლობის განვითარება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და კუბის კომპარტიას მიაჩნიათ უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და კუბის კომპარტია გენერალურ გააფართოებენ და სრულყოფენ თავიანთ თანამშრომლობას ყველა დონეზე, რეგულარულად გაცვლიან პარტიული მუშაობის დელეგაციებს, განამტკიცებენ პარტიული პრესის კონტაქტებს, ყოველნაირად გააფართოებენ სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

მტკიცდება და ვითარდება საბჭოთა კავშირისა და კუბის ძმური მეგობრობა

საბჭოთა კავშირი და კუბა დარწმუნებული არიან, რომ საბჭოთა და კუბელი ხალხების, საბჭოთა კავშირისა და კუბის კომუნისტური პარტიების ურღვევი მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა შეესაბამება ორი ქვეყნის მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ძირეულ ინტერესებს, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კეთილმეზობელნო სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებით და სრული თანასწორუფლებიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით ყოველნაირად განამტკიცონ და განავითარონ საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობა — სოციალური წყობილების ერთობრივ და სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში მიზნების ერთიანობით შედუღაბებული ორი ქვეყნის ხალხთა უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი.

ყველფერი გაკეთდება იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირისა და კუბის ხალხები უკეთ გაეცნონ ერთმანეთის ცხოვრებას, კულტურას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეურნეო და მეცნიერულ-ტექნიკურ გამოცდილებას, რომ განუწყვეტელი ფართოვდებოდეს საბჭოთა კავშირ-კუბის თანამშრომლობა კომპარტიებს. საბჭოფო ორგანოებს, პროფკავშირების, ახალგაზრდობის, ქალთა და სხვა მასობრივი ორგანიზაციების ხაზით, კონტაქტები ორი ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს წარმომადგენლებს შორის.

დღენიადაგ განვითარდება და გაუმჯობესდება ორი ქვეყნის ეკონომიური, სავაჭრო და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა გეგმაზომიერ, ხანგრძლივ საფუძველზე. ამასთან იხელმძღვანელებენ, კერძოდ, 1972 წელს ხელმოწერილი ეკონომიური შეთანხმებიმ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეკონომიური თანამშრომლობის ეფექტიანობის ამაღლებას.

გაფართოვდება თანამშრომლობა საბჭოთა კავშირისა და კუბის საგეგმო ორგანოებს შორის, ორივე ქვეყნის სამინისტროებსა და უწყებებს შორის, უშუალო კავშირურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და კუბის საწარმოო კოლექტივებს შორის.

ორ მთავრობას შორის დადებული შეთანხმებების შესაბამისად საბჭოთა კავშირი სოციალისტურ კუბას დაეხმარება ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განვითარებაში, კუბის ეკონომიკის სხვადასხვა დარგისათვის საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადებაში.

მხარეები ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირისა და კუბის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, სასწავლებლების შემოქმედებითი კავშირების კონტაქტებსა და კონსულტაციულ თანამშრომლობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით დადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის კვლავაც დახმარება და მხარდაჭერა გაუწიოს კუბას ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კუბის კომუნისტური პარტიის რევოლუციური მთავრობისა და მთელი კუბელი ხალხის სახელით უდიდესი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ქვეყანას ინტერნაციონალური სოლიდარობისათვის, ძმური დახმარებისათვის, რომელსაც კუბას უწევს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ყველა დარგში.

ლებისა და მტკიცე მშვიდობისათვის. ორივე პარტია შეურიგებელია როგორც შემარჯვენე, ისე „მემარცხენე“ რევიზიონიზმის, ეგზემონისტური და მოვინისტური ტენდენციების მიმართ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კომუნისტური და მუშათა პარტიების მიერ კოლექტიურად შემუშავებულ ინტერნაციონალისტურ კურსს, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის რიგების ერთიანობის კონსოლიდაცია მთელი რევოლუციური პროცესის წარმატებული განვითარებისა და გაღრმავების საწინდარი იყო და არის.

ხალხთა მტკიცე მშვიდობისათვის, უშიშროებისა და თავისუფლებისათვის

ნახევარმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც ადარ გვყავს ვ. ი. ლენინი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური მასწავლებელი და ბელადი, რომელმაც ხალიალიზმის გზა გაუკაფა კაცობრობას. საერთაშორისო მოვლენათა მიმდინარეობა დღესაც ადასტურებს, რომ სწორია მსოფლიო განვითარების ძირითად ტენდენციათა ლენინური ანალიზი.

მსოფლიო წინ მიდის სწორედ იმ მიმართულებით, რომელიც ლენინმა განჭვრიტა.

განუხრელად ძლიერდება მსოფლიო სოციალისტური სისტემა და მისი გავლენა საერთაშორისო მოვლენათა მიმდინარეობაზე. ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ. მისი ზიმოქმედებით იმსხვრევა ახლა ნეოკოლონიალიზმის ბორკილებიც. რომლებთაც იმპერიალისტებს სურთ შეცვალონ ყოფილი კოლონიური წესწყობილება. ჩვენს. დროში განსაკუთრებით თვალსაჩინოა კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის შემდგომი გამწვავება. უმგალითოდ დიდი და მწვავე წინააღმეგობანი — პოლიტიკური და ეკონომიური წინააღმდეგობანი ბანაზარებენ კაპიტალის სამყაროს.

სსრ კავშირი და კუბა მიესალმებიან იმ ფაქტს, რომ სოციალიზმის სასარგებლოდ ძალთა თანაფარდობის საერთო შეცვლის შედეგად, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების შეთანხმებული პოლიტიკის, მთელი პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალების აქტიური მოქმედების გავლენით საერთაშორისო ვითარებაში ხდება შემობრუნება „ცივი ომიდან“ დაძაბულობის შენელებისკენ, საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების შემდგომი დამკვიდრებისაკენ.

საბჭოთა კავშირსა და კუბას თავიანთი საგარეო პოლიტიკის ცენტრალურ ამოცანად მიაჩნიათ ყოველნაირად შეიწყონ ხელი სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ძლიერებისა და შეკავშირების შემდგომ განმტკიცებას, მათი მჭიდრო თანამშრომლობის — ეკონომიური და პოლიტიკური პოტენციალის შემდგომი ზრდის ამ დიდმნიშვნელოვანი ფაქტორის განვითარებას. ისანი ხელმძღვანელობენ იმით, რომ მსოფლიო სოციალიზმის ძლიერება, ურყევი ძმობა, უანგარო ურთიერთდახმარებითა და მხარდაჭერით შედუღაბებული სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობა და ნოლიდარობა წარმოადგენენ ჩვენი ეპოქის მთავარ რევოლუციურ ძალას, რომელიც განმსაზღვრელ გავლენას ახდენს მსოფლიო საზოგადოებრივ განვითარებაზე.

საბჭოთა კავშირი და კუბა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ როგორც ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობის უკვე ჩამოყალიბებული ფორმების სრულყოფას, ისე პოლიტიკურ, ეკონომიურ და სხვა დარგებში მოძმე ქვეყნების თანამშრომლობის ახალი გზებისა და მიმართულებების მუდმივ ძიებას. ისინი ამბობენ, კვლავაც შეუნელებელი ყურადღება დაეთმონ სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის საკითხებს, ყოველნაირად შეუწყონ ხელი კომპლექსური პროგრამისა და სხვა იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებსაც ამ მიზნით ამუშავებენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში.

საბჭოთა კავშირი და კუბა გადაჭრით გმობენ იმპერიალისტური აგრესიის ყოველგვარ აქტებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ხალხის სოციალისტურ ცხოვრებას და მშვიდობიან შრომას. ისინი საქმიანად აცხადებენ თავიანთ ურყევ ერთგულებას საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმისადმი. მშვიდობა თანამედროვეობის კარდინალური პრობლემაბის, გადაწყვეტისა და შემდგომი საზოგადოებრივი პროგრესის უმნიშვნელოვანესი წინამძღვარია.

მშვიდობა სოციალისტური ქვეყნებისათვის ოზრუნველყოფს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ხელშემწყობ პირობებს; ხალხებისათვის, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას აწარმოებენ, — პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების, ეკონომიური თვითსაკადრების მიღწევის, კოლონიური და რასისტული რეჟიმების ლიკვიდაციის ფართო შესაძლებლობებს; კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებისათვის — ადგილების ბრძოლას ექსპლოატაციის წინააღმდეგ, თავიანთი კანონიერი უფლებების დასაცავად.

ხალხთა შორის ნამდვილი თანასწორუფლებიანი, ნაყოფიერი თანამშრომლობის პირობებს ქმნის მხოლოდ მტკიცე, დემოკრატიული, სამართლიანი მშვიდობა, რომელსაც საფუძვლად უდგას სახელმწიფოთა შორის დაბმა და უთანხმოებების სამხედრო საშუალებებით გადაჭრაზე პრინციპული უარისთქმა. გულისხმობს ყველა სახელმწიფოს სუვერენიტეტის განუხრელი პატივისცემა, ამმონიზაციის ერთმანეთის საშინაო საქმეებში ყოველგვარ ჩარევას. მშვიდობა განუყოფელია, იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა ქვეყნისათვის. მართი სიდიდის, ეკონომიური და სამხედრო ძლიერების, სოციალური წყობილების მიუხედავად.

კუბის კომუნისტური პარტია და რევოლუციური მთავრობა ხაზს უსვამენ საბჭოთა კავშირის მიზანსწრაფული საგარეო-პოლიტიკური კურსის. სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის წარმატებული განხორციელების უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას. კუბის კომპარტია და მთავრობა სრული სოლიდარობით ეკიდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პრინციპულ, თანმიმდევრულად კლასობრივ საგარეო პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებენ, რომ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობა თავიანთი აქტიური საგარეო პოლიტიკით ხელს უწყობენ იმ საერთო მიზნების მიღწევას, რომლებსაც სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები ისახავენ საერთაშორისო ასპარეზზე. სოციალისტური კუბის საერთაშორისო ავტორიტეტი განუხრელად იზრდება.

ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად გადაიქცა გმირი ვიეტნამელი ხალხის გამარჯვება იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში და ვიეტნამის ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ შეთანხმების დადება. ეს არის თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის უდიდესი ეფექტიანობის გამარჯვება და ამასთანავე სოციალიზმის ძალების საერთაშორისო სოლიდარობის, მთელი თავისუფლებისმოყვარე, ანტიიმპერიალისტური ძალების, მშვიდობისა და სამართლიანობის ყველა მომხრის გამარჯვება. საბჭოთა კავშირი და კუბა კვლავ დასტურებენ თავიანთ ინტერნაციონალურ სოლიდარობას ვიეტნამელი ხალხისადმი. ისინი კვლავაც განამტკიცებენ ძმურ თანამშრომლობას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკასთან, გადაწყვეტენ მას საჭირო დახმარებას და ხელს შეიწყობენ ეროვნული ეკონომიკის აღდგენაში, სოციალიზმის შენებლობაში. ისინი აგრეთვე აცხადებენ, რომ საბჭოთა უმჭირნო მხარს საამრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ეროვნულ რევოლუციურ მთავრობას, რომელიც საამრეთ ვიეტნამის მოსახლეობის ინტერესებს გამოხატავს. სსრ კავშირი და კუბა გმობენ პარიზის შეთანხმების საბოტაჟს, იმ ძალების მოქმედებას, რომლებიც ხელს უშლიან ვიეტნამელ ხალხს თავის ეროვნულ მისწრაფებათა თავისუფალ განხორციელებაში. ისინი სოლიდარობთ ეკიდებიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის განცხადებებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ პარიზის შეთანხმებას განუხრელად ასრულებდეს ყველა მისი მონაწილე.

საბჭოთა კავშირი და კუბა დადებითად აფასებენ შეთანხმებას ლაოსში მშვიდობის აღდგენისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ, და კვლავ უჭახდებენ სოლიდარობას კამბოჯელი პატრიოტების ბრძოლას. ისინი მხარს უჭერენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებებს ქვეყნის მშვიდობიანი დემოკრატიული გაერთიანების შესახებ და კორეელი ხალხის მოთხოვნებს სამხრეთ კორეიდან უცხოთის ჯარების სრული გაყვანის შესახებ.

საბჭოთა კავშირი და კუბა ერთიანი პოზიციებიდან უჭერენ მხარს არაბი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ. გადაიდგა პირველი ნაბიჯები ახლო აღმოსავლეთში საშიში დაძაბულობის კერის პრაქტიკული ლიკვიდაციის გზაზე, შეწყდა საომარი მოქმედება, მუშაობა დაიწყო ჟენევის საზღვარ კონფერენციამ. ეს სწორი მიმართულებით, იმ მიზნის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებია, რომლისთვისაც სოციალისტური ქვეყნები და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები მრავალი წელია იბრძვიან, მხარს უჭერენ რა არაბი ხალხების სამართლიან საქმეს.

ჯერჯერობით ლაპარაკია ნაწილობრივ ღონისძიებებზე, რომლებიც არ მოიცავენ კონფლიქტის მთელ ზონას. საქმე ახლა ის არის, რომ რეალობა გახდეს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის რადიკალური მშვიდობიანი მოწესრიგება, რომელსაც უშიშროება მოაქვს ამ რაიონის ყველა სახელმწიფოსათვის, ყველა ხალხისათვის. საბჭოთა კავშირი და კუბა მთელი ძალით უსვამენ ხაზს, რომ ეს გულისხმობს ისრაელის ჯარების სრულ გაყვანას 1967 წელს ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან, პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებების უზრუნველყოფას. წინააღმდეგ შემთხვევაში ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის კვლავინდებურად შეიძლება მოჰყვეს საშიში აფეთქებები.

საბჭოთა კავშირი და კუბა დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების შეთანხმებულ მოქმედებას სულ უფრო არსებითი ძვრები მოსდევს ევროპაში დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის მოგვარების გზაზე. ეს შეეხება ევროპის ყველა ხალხის, სხვა კონტინენტების ხალხების, მსოფლიო სოციალიზმის საქმის ინტერესებს.

სოციალისტურ სახელმწიფოთა დიდმნიშვნელოვანი საერთო მონაპოვარი იყო იმპერიალისტური ძალების მიერ მოწყობილი გერმანიის დაშლა ფაშისტური ომის ბოლოს. გერმანელ მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფოს — საერთაშორისო-სამართლებრივი ცნობა უდავო გახდა. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ამას წინათ დადებული ხელშეკრულება განამტკიცებს მიუნხენის სამარცხვინო დიქტატის ლიკვიდაციას.

საბჭოთა კავშირისა და კუბის აზრით, საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ წარმატებით დამთავრდეს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, რომელმაც მტკიცე საფუძველი უნდა ჩაუყაროს ევროპის ყველა სახელმწიფოს შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის განვითარების საქმეს. თუ ყველა მონაწილე გამოიჩენს კეთილ ნებას, ეს აქცია შეიძლება დამთავრდეს და კიდეც უნდა დამთავრდეს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებით, რომლებიც ევროპის მოვლენებს მშვიდობისა და თანამშრომლობის საიმედო კალაპოტში მოაქცევდნენ. ამ მიმართულებით ახალი სასარგებლო ნაბიჯი შეიძლება იყოს კონკრეტული გადაწყვეტილება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ, რის შესახებაც ახლა წარმოებს მოლაპარაკება ვენაში.

მთელ ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის განმტკიცების გზაზე დიდი ნაბიჯი იქნებოდა მყარი მშვიდობისა. და მტკიცე კეთილმეზობლობის უზრუნველყოფა აზიის ყველა სახელმწიფოს ურთიერთობაში. ამიტომ კუბის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა კავშირთან ერთად ზრუნავს აზიაში კოლექტიური უშიშროების შექმნისათვის და ამბარს უჭერს მისი საგარეო პოლიტიკის ღონისძიებებს ამ მიმართულებით.

პოზიტიური ძვრები საერთაშორისო ურთიერთობაში წარმოებს ორ საზოგადოებრივ სისტემას შორის განუწყვეტელი ბრძოლის პირობებში. იმპერიალიზმის ბუნება არ შეცვლილა, მსოფლიოში ყველავ მოქმედებენ აგრესიული და რეაქციული ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მოითხოვენ სამხედრო მზადების გაძლიერებას, ცდილობენ უნდობლობა და მტრობა ჩამოაგდონ ხალხთა შორის.

ფრთხილი დამაცხენა ვერ შეასუსტებს ჩილელი ხალხის მისწრაფებას — იბრძოლოს ნამდვილი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის მიღწევისათვის.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული საბჭოთა კავშირი და კუბა ყველა ადამიანურებენ თავიანთ მხურვალე სოლიდარობას ლათინური ამერიკის ხალხებისადმი, რომლებიც სამართლიან ბრძოლას ეწევიან ეროვნული განთავისუფლებისათვის, პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური პროგრესისათვის.

სსრ კავშირი და კუბა მიესალმებიან ლათინური ამერიკის სახელმწიფოების კავშირურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას სოციალისტურ ქვეყნებთან. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ლათინურ ამერიკის დამოუკიდებელი ქვეყნების უფრო აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო ცხოვრებაში ერსებითი წვლილი იქნება სახელმწიფოთა მშვიდობისა და თანამშრომლობის საქმეში.

ამ უკანასკნელ წლებში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიო პოლიტიკაში მიუმხრობლობის მოძრაობა. სსრ კავშირი და კუბა მაღალ შეფასებას აძლევენ მიუმხრობელი ქვეყნების პოლიტიკის ანტიიმპერიალისტურ მიმართულებას, მათს მისწრაფებას — ხელი შეუწყონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას. ამ თვალსაზრისით მხარეები ჯერჯერობით აფასებენ მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების IV კონფერენციის გადაწყვეტილებებს, რომელიც ალჟირში გაიმართა.

გამოხატავენ რა საბჭოთა კავშირისა და კუბის ხალხების სოლიდარობას აზიისა და აფრიკის ხალხებისადმი, რომლებიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და კუბის კომპარტია აცხადებენ:

— კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემა, ყველა მისი ფორმა და გამოვლინება ლაკვიდირებული უნდა იქნას, სამოლოოდ და სამუდამოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილება კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ მთლიანად უნდა განხორციელდეს.

— ანგოლისა და მოზამბიკის ხალხებს სრული უფლება აქვთ სარგებლობდნენ მთელი თავისუფლებისმოყვარე ძალების სოლიდარობით თავიანთი სამართლიან ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

— პროგრესისა და დემოკრატიის ყველა გულწრფელი მომხრის მოვალეობაა სრული მხარდაჭერა გაუწიონ ნამიბიის, ზიმბაბვეს და სამხრეთ აფრიკის ხალხებს ბრძოლას რასისტული რეჟიმების წინააღმდეგ.

— ახალგაზრდა გვინეა-ბისაუს რესპუბლიკამ, რომელიც თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის იბრძვის, ფართო საერთაშორისო-სამართლებრივი აღიარება უნდა მოიპოვოს.

საბჭოთა კავშირი და კუბა თანმიმდევრულად და განუხრელად მოითხოვენ მილიტარისტული წრეების მიერ თავს მოხვეული გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, საყოველთაო და სრულ განიარაღებას, რომელიც მოიცავს როგორც ატომურ იარაღს, ისე შეიარაღების ჩვეულებრივ სახეობებს. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს განიარაღების მსოფლიო კონფერენციამ. დროა შეუდგეთ ასეთი კონფერენციის მოწვევისათვის პრაქტიკულ

დარბაზობა რევოლუციის სასაზლეთი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. **ბრეჟნევმა** 2 თებერვალს ჰავანის რევოლუციის სასახლეში გამართა დარბაზობა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ამხანაგ **ფიდელ კასტროს** პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები **ა. ა. გრომიკო, ვ. ვ. შჩერბიცკი, გ. ვ. რომანოვი, კ. თ. კატუშევი,** სამოქალაქო ავიაციის მინისტრი **ბ. პ. ბუგაევი,** საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ი. ვ. არხიპოვი,** სსრ კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში **ნ. პ. ტოლუბეევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამშემწეები **კ. ვ. რუსაკოვი, ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი,** საკავშირო გენერალური დირექტორი **ლ. მ. ზამიატინი.**

დარბაზობაზე იყვნენ აგრეთვე საბჭოთა საელჩოსა **და** კუბაში მომუშავე სხვა საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლები.

კუბის მხრივ იყვნენ: პოლიტბიუროს წევრები — კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **რაულ კასტრო,** რესპუბლიკის პრეზიდენტი **ოსვალდო დორტიკოსი, რამირო ვალდესი, არმანდო ჰარტი, გილიერმო გარსია, ხერხიო დელ ვალიე,** ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრები — **ბლას როკა** და **კარლოს რაფაელ როდრიგესი,** ცენტრალური კომიტეტის საძდგომოს სხვა წევრები, საგარეო საქმეთა მინისტრი **რაულ როა,** რევოლუციური მთავრობის სხვა წევრები, კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **ხესერო აგირე,** სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციის ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

სტუმრებს შორის იყვნენ კუბის რესპუბლიკაში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობამ ძმურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

(საკადესი).

კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავროგის პრემიერ-მინისტრს ამხანაგ ფიდელ კასტრო რუსს

ჰავანა

ვგრუნდები რა სამშობლოში ოქტომბრის მშვენიერ კვეყანაში ვიზიტის შემდეგ, არ შემიძლია არ გითხრათ, ძვირფასო ამხანაგო ფიდელ, უწინარეს ყოვლისა, თუ რა დიდად ვიფასებთ რევოლუციური კუბის მიღწეულს სოციალიზმის შენებლობაში, რა აღტაცებას იწვევს კუბელი ხალხის ურღვევი ერთიანობა, მისი შეკავშირება თავისი სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და ამ პარტიის გმირ ხელმძღვანელთა გარშემო.

მე და ჩემს ამხანაგებს ღრმა, წარუშლელი შთაბეჭდილება დაგვრჩა კუბაში გატარებულ დაუვიწყარ დღეებზე. და ამ შთაბეჭდილებათაგან ყველაზე ამაღლებულებელია საბჭოთა ქვეყნისადმი, ლენინის პარტიისადმი მილიონობით კუბელის ძმური მეგობრობისა და საყვარულის მხურვალე გამოვლინება, რომის მოწმენიც ჩვენ ვიყავით ამ დღეებში.

მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგო ფიდელ, ჩვენი გულითადი მადლობა, რომელსაც გითხვთ პირადად თქვენ და თქვენი სახით კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და რევოლუციურ მთავრობას, ჰავანისა და სანტიაგო-დე-კუბის მცხოვრებთ, მთელ კუბელ ხალხს გულითადობისა და სტუმართმოყვარეობისათვის, უაღრესად გულთბილი მასპინძლობისათვის, რომელიც ჩვენ, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს გაგვიწიეთ.

მინდა აგრეთვე ღრმა კმაყოფილება გამოვთქვა თქვენთან, კუბის კომპარტიისა და მისი რევოლუციური მთავრობის სხვა ხელმძღვანელებთან ჩვენი საუბრების ნაყოფიერი შედეგების გამო. ვფიქრობ, ბევრადენად არ ჩამოგვერთმევა, თუ ვიტყვით, რომ ამ საუბრების დროს ჩვენ შევძელით არა მარტო დაგვესახა საბჭოთა კავშირისა და კუბის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი მარშრუტები, არამედ შეგვეტანა კიდეც ჩვენი წვლილი სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცების, მეცნიერ რევოლუციური და პროგრესული ძალების შეკავშირების, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

სულით და გულით, გულწრფელად გისურვებთ წარმატებებს და ბედნიერებას პირადად თქვენ, ძვირფასო მეგობარო, ამხანაგებს ოსვალდო დორტიკოს და რაულ კასტროს, ყველა თქვენს კოლეგას და თანამებრძოლს, ბედნიერებასა და აყვავებას ვუსურვებთ სოციალისტური კუბის მთელ შესანიშნავ ხალხს.

დაე მარად ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობა — ჩვენი სახელოვანი ეპოქის მსოფლიო რევოლუციური პროცესის ერთ-ერთი ისტორიული მონაპოვარი!

ლ. ბრეჟნევი,

თვითმფრინავი ილ.62 1974 წლის 3 თებერვალი.

გზად კანადაში

განდერი (ნიუფაუნდლენდის კუნძული), 4 თებერვალი. (საკადესი).

ჰავანიდან მოსკოვს გზად მიმავალი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი** და სხვა ამხანაგები, რომლებიც მასთან ერთად კუბაში იყვნენ, ჩამოვიდნენ განდერის აეროპორტში.

აეროპორტში **ლ. ი. ბრეჟნევს** შეხვდნენ კანადის ეკონომიკის მინისტრი **დ. ჯემისონი,** ნიუფაუნდლენდის პროვინციის პრემიერის მოადგილე **ტ. ხ. ფარელი,** კანადის სხვა ოფიციალური პირნი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი კანადაში **ა. ნ. იაკოვლევი.**

ლ. ი. ბრეჟნევსა და დ. ჯეიმისონს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროს შეეხნენ საბჭოთა კავშირ-კანადის ურთიერთობის ზოგიერთ საკითხს.

დ. ჯეიმისონმა ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა კანადის პრემიერ-მინისტრის პ. ე. ტრიუდოს სალამურო წერილი.

წერილში პრემიერ-მინისტრი საბჭოთა კავშირის ხალხს უსურვებს კეთილდღეობასა და აყვავებას და აღნიშნავს საბჭოთა კავშირისა და კანადის ურთიერთობის კეთილნაყოფიერ განვითარებას ორი ქვეყნის ხალხების, საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებისათვის.

პ. ე. ტრიუდომ გამოთქვა იმედი, რომ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა და კონტაქტები კვლავაც განვითარდება ორ ქვეყანას შორის მტკიცე საფუძველზე, რომელიც უკვე შეიქმნა.

შეხვედრა კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრების ასოციაციაში

ჰავანა, 2 თებერვალი. (საკადესის სპეც. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ვ. შჩერბიცკი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. თ. კატუშევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში **ნ. პ. ტოლუბეევი,** რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან **ლ. ი. ბრეჟნევთან** ერთად კუბაში იმყოფებიან, დღეს შეხვდნენ კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციის ხელმძღვანელებს და აქტივისტებს.

საბჭოთა ამხანაგებს გულთბილად შეხვდნენ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი **გილიერმო გარსია,** კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი **ბლას როკა,** კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარე, კუბის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **სოლო მარინელიო** და ასოციაციის სხვა ხელმძღვანელები და აქტივისტები, კუბის ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტის დირექტორი **ადალბერტო კინტანა.** შეხვედრაში მონაწილეობდა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **სერგო აგირე.**

სტუმრებმა დაათვალიერეს ასოციაციის შენობა, რომელიც დგას დედაქალაქის ერთ-ერთ ფართო ბულვარზე — ავენიდე პასეოზე. ეს ლამაზი სახლი, რომელიც რევოლუციამდე ერთ-ერთ უმდიდრეს ბურჟუაზიულ ოჯახს ეკუთვნოდა, 1969 წლიდან ამ ასოციაციის მუშაობის ცენტრი გახდა. აქ სტუმართმოყვარე დარბაზებსა და ტროპიკულ მცენარეებში ჩაფლულ ბაღში, სისტემატურად ეწყობა კუბელთა შეხვედრები კუბაში ჩამოსულ საბჭოთა დელეგაციებთან, აქ მომუშავე საბჭოთა სპეციალისტებთან, რეგულარულად უჩვენებენ საბჭოთა კინოფილმებს, იმართება ლექციები საბჭოთა კავშირზე, სსრ კავშირსა და კუბის ხელოვნების ოსტატთა ერთობლივი კონცერტები.

სტუმრებმა დაათვალიერეს ასოციაციის ბიბლიოთეკა, რომელშიც ინახება რუსი და საბჭოთა ავტორების ბევრი წიგნი ესპანურ და რუსულ ენებზე.

ერთ-ერთ დარბაზში გაიმართა მეგობრული შეხვედრა. შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ გ. ვ. რომანოვმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სახელით იგი გულითადად მიესალმა კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციის და უსურვა ახალი წარმატებანი ჩვენი ხალხების მეგობრობის განტკიცებაში, მუშაობის გაფართოებაში, ასევე ჩვენ ხალხებს შორის ურთიერთობის ზრდაში.

„ამ ბაზის ფარგლებში, ამ ასოციაციის ფარგლებში, ამ ადგილზე, — ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი, — ბევრი ადამიანია, ბევრი ადამიანი, ბევრი ადამიანი, ბევრი ადამიანი

თბილისი — მრავალსართულიანი





ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელითიჯლობით შენდება და მშვენდება საქართველოს დედაქალაქი თბილისი. უკანასკნელ წლებში ქალაქში შეიქმნა ახალი პროსპექტები და საცხოვრებელი კვარტალები. უდიდესი საბინაო მშენებლობა გაჩაღდა დიღმის მასივში, საბურთალოზე, გლდანის, ელმავალსაშენებლო ქარხნისა და სხვა დასახლებებში. გაჩნდა ბევრი მაღლივი შენობა.

სურათებზე (მარცხნიდან): ორი ახალი თექვსმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლი სანაპიროზე ჩელიუსკინელთა სახელობის ხიდთან; ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობები მეგობრობის პროსპექტზე დიღომში; „ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ მრავალსართულიანი შენობა ჭავჭავაძის პროსპექტზე გამარჯვების პარკთან.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

მსოფლიო დღეს

მოკლედ

□ ნიუ-იორკი, 4 თებერვალი. (საკ.). ლა-პასიდან მიღებული ცნობების თანახმად, ბოლივიის მდგომარეობა კვლავინდებურად დაძაბულია. ქვეყნის ორი უდიდესი კალის მაღაროს — კატავისა და „ინგლო XX“-ის (ორუროს დეპარტამენტი) 5.000-მდე მაღაროელმა გამოაცხადა გაფიცვა. მიტინგზე ორუროს მეშახტეებმა გადაჭრით დაგმეს რეპრესიული მოქმედება არმიისა, რომელიც გაგზავნეს კოჩაბამბის დეპარტამენტის უარაღო გლეხთა გამოსვლების ჩახშობად, და სოლიდარობა გამოუცხადეს გლეხთა მოძრაობას სურსათ-სანოვაგის გაძვირების წინააღმდეგ.

□ კაირო, 4 თებერვალი. (საკ.). დღეს მთავრდება სუეცის არხის დასავლეთ ნაპირიდან ისრაელის ჯარების გაყვანის მეორე ეტაპი. საღამოს ექვს საათზე ადგილობრივი დროით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალები დაიკავებენ არხის გასწვრივ ტერიტორიის 10-კილომეტრიან ზოლს ქალაქ სუეცის ჩრდილოეთით მე-5 და მე-15 კილომეტრებს შორის. ხვალ დილით ამ ტერიტორიაზე შევლენ ეგვიპტის ჯარები.

□ ნიუ-იორკი, 4 თებერვალი. (საკ.). მოძრაობის უსაფრთხოების ეროვნული საბჭოს მონაცემებით 1973 წელს ამერიკის შეერთებული შტატების გზებზე დაიღუპა 55.000 კაცი.

ეს თითქმის 1000 კაცით ნაკლებია, ვიდრე 1972 წელს იყო. მოხსენების ავტორთა აზრით, დაღუპულთა რიცხვის შემცირება ენერგეტიკული კრიზისის შედეგია.

პრეზიდენტის ეკონომიური მოხსენება კონგრესს

ვაშინგტონი. (საკ.). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა კონგრესს გაუგზავნა ყოველწლიური ეკონომიური მოხსენება, რომელშიც შეჯამებულია ამერიკის ეკონომიკის 1973 წლის შედეგები და დასახულია მისი პერსპექტივები უახლოეს მომავალში. მოხსენება მოწმობს, რომ კიდევ უფრო გამწვავდა ქვეყნის მთელი რიგი ეკონომიური პრობლემები, რის შედეგად გაუარესდა მოსახლეობის ფართო მასების ცხოვრების პირობები.

ყველაზე დიდ სიძნელეებს, აცხადებს რ. ნიქსონი, კვლავაც ინფლაცია იწვევს, „რომელიც მკვეთრად გაძლიერდა 1973 წელს“. ამ დროის მანძილზე სამომხმარებლო საქონელი გაძვირდა 9 პროცენტით, უმთავრესად გაძვირდა სურსათი და სათბობი.

ამ პირობებში სამუაოო ამერიკელის ხელფასი სულ უფრო ჩამორჩება ფასების ზრდას, რაც ამცირებს მოსახლეობის მყიდველობითს უნარს.

უმუშევრობა კვლავ მაღალ დონეზეა. 1973 წლის დამლევისათვის იგი შეადგენდა მუშახელის საერთო რაოდენობის 4,9 პროცენტს, ამასთან ბევრი კატეგორიის მოსახლეობისათვის ეს ციფრი მნიშვნელოვნად უფრო დიდია. მაგალითად, უმუშევარია ზანგი მოსახლეობისა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა 8,9 პროცენტი, 16-19 წლის ახალგაზრდათა 14,5 პროცენტი, სასოფლო-სამეურნეო მუშების 6,9 პროცენტი და არაკვალიფიციური მუშების 8,4 პროცენტი.

წლის დამლევს ენერგეტიკული კრიზისის გამწვავებამ გააღრმავა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური განვითარების შენელების ტენდენციები, რომლებმაც წინათ იჩინეს თავი. „საფუძველი არა გვაქვს ექვი მივიტანოთ, რომ ეს ტენდენციები 1974 წლის დამდეგსაც დარჩება და შემცირდება პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობა“, — ნათქვამია მოხსენებაში.

რ. ნიქსონი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან შეერთებული შტატების ვაჭრობის მოცულობა. გასული წლის პირველ სამ კვარტალში ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტი აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში 1,4 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

რ. ნიქსონი მოუწოდებს კონგრესს დაუყოვნებლივ მიიღოს მთავრობის კანონპროექტი სავაჭრო რეფორმის შესახებ, რომელიც შეიცავს წინადადებას, რომ საბჭოთა კავშირს მიენიჭოს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი ვაჭრობაში. როგორც ცნობილია, კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ, რომელიც აჰყავა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეთა სურვილს, შარშან არ დაამტკიცა პრეზიდენტის წინადადებანი, რომელთა მიზანი იყო სსრ კავშირთან ვაჭრობაში დისკრიმინაციული ბარიერების ლიკვიდაცია.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ამერიკის ეკონომიკის პერსპექტივებს 1974 წელს, რომელთათვის, თუ ზემოაღნიშნული შეფასებებით ეიმსჯელებთ, დამახასიათებელი იქნება უწინარეს ყოვლისა ეკონომიური პრობლემების შემდგომი გამწვავება.

სოლიდაროგისათვის მოუწოდებენ

ლონდონი, 4 თებერვალი. (საკ.). უკანასკნელი თვეების განმავლობაში ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაშალეს ფართო კამპანია, რომლის მიზანია განხეთქილება შეიტანონ მუშათა მოძრაობაში, აამხედრონ მუშათა მასები მაღაროელთა წინააღმდეგ, რომლებიც ებრძვიან ხელფასის მომატებისათვის იბრძვიან. ეს განაცხადა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჯონ გოლანმა. მშრომელთა მიტინგზე კენტში, რომელიც კომპარტიის ადგილობრივმა განყოფილებამ მოაწყო.

ეს კამპანია ინსპირირებულია მთავრობის მიერ, რომლის მთავარი მიზანია, ხაზი გაუსვა ინგლისელი კომუნისტების ლიდერმა, მოიხსნას პასუხისმგებლობა ეკონომიური კრიზისისათვის, ქვეყანას რომ არეფეგს, და მეშახტეებს დააკისროს ბრალი ამისათვის.

„მრეწველობაში ურთიერთობის“ კანონსა და მთავრობას ეგრეთწოდებულ „ანტიინფლაციურ პოლიტიკას“, რომელიც ითვალისწინებს მშრომელთა ხელფასის შეკავებას, მოჰყვა არა მარტო მეშახტეების, არამედ აგრეთვე მუშათა კლასის სხვა რაზმების კონფრონტაცია კონსერვატორთა მთავრობისადმი, აღნიშნა ჯ. გოლანმა. იმის ნაცვლად, რომ დააკმაყოფილოს მაღაროელთა სამართლიანი მოთხოვნები, თქვა მან, მთავრობამ მრეწველობა გადაიყვანა სამსაათიან სამუშაო კვირაზე.

ჯონ გოლანმა მოუწოდა ინგლისის მშრომელებს მხარი დაუჭირონ მაღაროელებს, რომლებიც თავიანთი ცხოვრების დონის ამაღლებისათვის იბრძვიან.

სკანდალი ფართოვდება

რომი. (საკ.). **იტალიის გაზეთები აქვეყნებენ ცნობებს იმ სპეკულაციური მაქინაციებს, მოტყუებისა და მოსყიდვის შესახებ, რომლებსაც მიმართავდნენ ნავთობმრეწველები, რათა გაეზარდათ ნავთობპროდუქტების ფასები.**

გამოძიებამ, რომლებიც სასამართლო ხელისუფლებამ დაიწყეს, ცხადყო, რომ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებისა და საცავების მფლობელები წარადგენდნენ ყალბ ცნობებს ნავთობის თავიანთი მარაგის შესახებ. იტალიის ნავთობმრეწველთა კავშირმა, რომელიც ქვეყნის მთავრობას აწვდიდა ყალბ ცნობებს არსებული ნავთობის რაოდენობის შესახებ, ხელოვნური სიძნელეები შექმნა გამანაწილებელი ქსელის უზრუნველყოფაში და ამ გზით გასული წლის მანძილზე ორჯერ მიაღწია ბენზინისა და ნავთობპროდუქტების საცალო ფასების გაღიდებას.

პრეტენდენტთა მატჩებზე

ნახევარფინალში სპასკი - კარპოვი

მოსკოვი

კარპოვ-პოლუგაევსკის მერვე პარტია უკანასკნელი გამოდგა. თეორიებით ახალგაზრდა გროსმაისტერი თამაშობდა. პოლუგაევსკიმ, როგორც ყოველთვის, სიცილიური დაცვა მიმართა. საინტერესოა, რომ ამ მატჩში სულ ორი დებიუტი შეგვხვდა: ოთხჯერ ნიმცოვიჩის დაცვა და ოთხჯერ — სიცილიური.

ამჯერად პოლუგაევსკის უმტყუნა საყვარელმა იარაღმა. კარპოვი ჩინებულად მოქმედებდა და უპირატესობაც მიიღო. 41-ე სვლაზე პოლუგაევსკი დანებდა. ამრიგად, კარპოვმა მოიგო მატჩი ანგარიშით 3:0. მთელი შეხვედრის მანძილზე ახალგაზრდა მოჭადრაკის უპირატესობა უდავო იყო. ახლა იგი ნახევარფინალურ მატჩში, რომელიც აპრილში გაიმართება, სპასკის შეხვდება.

პალმა-დე-მალიორკა

პეტროსიან-პორტიშის მატჩის მორიგ, მერვე პარტიაში თეთრებით თამაშობდა უნგრელი გროსმაისტერი. 29-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიშია კვლავინდებურად 1:0 პეტროსიანის სასარგებლოდ. მეცხრე პარტიაში, რომელიც დღეს გაიმართება, თეთრებით ითამაშებს პეტროსიანი.

ოგასტა

კორჩნოი-მეპინგის მეცხრე პარტიაში თეთრებით თამაშობდა საბჭოთა გროსმაისტერი. 41-ე სვლის შემდეგ პარტია გადაიდო დაახლოებით თანაბარ პოზიციაში.

გ. გამრეკელი.

სსრ კავშირის თასზე

მაია მოიგო ორი პარტია

მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩები ქალთა შორის.

უკვე გათამაშდა ორი ტური. მაია ჩიბურდანიძემ პირველ ტურში მოუგო საერთაშორისო ოსტატ კირა ზვორიკინას (მინსკი). მათი მეორე პარტია დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ შემდეგ ზვორიკინა თამაშის განუახლებლად დანებდა. მეორე მატჩში საერთაშორისო ოსტატმა ვ. რანიუმ (ტალინი) ორი პარტია მოუგო ოსტატ ლ. სემიონოვას (კიევი).

წყვილები ოთხ-ოთხჯერ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. თუ ამ შეხვედრებმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული, დაინიშნება ორი დამატებითი პარტია სწრაფი კონტროლით.

ჯამინდი

დღეს, 5 თებერვალს, დასავლეთ საქართველოში უმეტესად უნალექო ამინდია მოსალოდნელი, ზოგიერთ ადგილებში ზამში 5-10 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი. ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 5-10 გრადუსი სითბო, მთაში 2 გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექო, სუსტი ქარი, გზები მოლიპული. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 3 გრადუსი ყინვა-2 გრადუსი სითბო, მთაში 1-6 გრადუსი ყინვა.

თბილისში უნალექო ამინდია მოსალოდნელი, ტემპერატურა ნული-2 გრადუსი სითბო.

უკანასკნელი სტარტები გაკურიანში

გამარჯვებული თბილისში გამოვლინდება

□

ბაკურიანი. 4 თებერვალი. (ტელეფონით). კვირას აქ დამთავრდა საქართველოს ზამთრის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები. მოთხილამურეებს ასპარეზობა ჰქონდათ რბოლებში, სწრაფდაშვებაში, ტრამპლინიდან ხტომაში.

ყველაზე მეტი მაყურებელი 30-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომას ჰკადა. სტარტზე გამოვიდა 5 სპორტსმენი. მათ შორის იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი ბაკურიანელი კ. წაქაძე. მან 228,8 ქულით (ხანტმეტრი — 103,5 და 103 მეტრი) პირველი ადგილი დიაკავა. მომდევნო ორი ადგილი ბორჯომელებს — მ. გავასა და მ. ბაკაევს ხვდათ.

რბოლაში 10 კილომეტრზე ქალთათვის უძლიერესი იყო ნ. ბადაშვილი (თბილისი, „სპარტაკი“, დრო — 38.07). რუსთაველისა და მესტიის წარმომადგენლებმა კ. კეხბამ და ლ. ჯაფარიძემ თანმიმდევრულად მეორე და მესამე ადგილი დაიკავეს.

30 კილომეტრზე რბოლაში ვაჟთათვის გაიმარჯვეს თბილისელებმა ო. დიაკონაშვილმა და ლ. სოლოიანმა და მესტიელმა ა. ნავერიანმა. სწრაფდაშვებაში ქალთა შორის წარმატება ხვდა ს. ნასყიდაშვილს (ბორჯომი, „კოლმეურნე“), ვაჟთა შორის — ა. სტეპანიანს (თბილისი, „სპარტაკი“).

პირველ ჯგუფში წინ არის ბორჯომის გუნდი — 303 ქულა. თბილისელებს 277 ქულა აქვთ. მესამე ადგილი დიაკავა მესტიის გუნდმა — 144 ქულა. თუ ვინ იქნება გამარჯვებული რესპუბლიკურ სპარტაკიადაში, ამას გამოავლენს ფიგურულ მოცეკვაობა თბილისის ასპარეზობა.

მეორე ჯგუფის კოლექტივებს შორის უძლიერესი იყო ქუთაისის გუნდი (104 ქულა). მომდევნო ხუთი ადგილი დაიკავეს ბოგდანოვკის, რუსთავის, აჭარის, ცაგერისა და სამხრეთ ოსეთის გუნდებმა.

კვირის საღამოს ბაკურიანის „დინამოს“ ბაზაში გამარჯვებულებს საზეიმოდ გადაეცათ. ჯილდოები.

ვ. ბაბელია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

შესანიშნავი ათეული

თბილისის XIII საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

კვირას სპორტის სასახლეში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

გასული წლის გამარჯვებულთაგან მხოლოდ თბილისელმა სპორტის ოსტატმა ალექსანდრე ილურიძემ (პირველი საშუალო წონა) შეძლო სპატიო ტიტულის შენარჩუნება, ხოლო გივი ყვარელაშვილმა (მსუბუქი წონა) ორი წლის „შესვენების“ შემდეგ კვლავ დაიბრუნა ეს წოდება.

მეტად დაძაბულად წარიმართა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის როინ დობორჯგინიძისა (ქვემსუბუქი წონა) და ირანის ჩემპიონ რამეზან ხედერის ორთაბრძოლა. გამარჯვება მიეკუთვნა ქართველ ფალავანს.

თბილისელმა ზურაბ ნიკურაძემ (ქვემძიმე წონა) საუკეთესოდ წარმართა მთელი ტურნირი და პირველ ადგილთან ერთად სპორტის დამსახურებული ოსტატის ვახტანგ ბალავაძის პრიზიც დაიმსახურა.

ოთხ წონითს კატეგორიაში გამარჯვება მოიპოვეს სსრ კავშირის ნაკრების წევრებმა — ბაკელმა ტელმან ფაშაევმა (მჩატე) და მამედ იბრაგიმოვმა (პირველი ქვესაშუალო), მანახიალელმა მაჰმედხან არაკელოვმა (მეორე ქვესაშუალო) და კიეველმა ბორის ბიგაევმა (ძმიმე წონა).

უცხოელ ფალავანთაგან პირველობა დაისაკუთრეს . იაპონელმა ხირატა სიგერომ (ულჩატესი წონა) და ამერიკელმა რას ჰელიკსონმა (მეორე საშუალო წონა).

ო. ნოზაძე.

რამდენიმე სტრიქონით

□ **კალათბურთი.** გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მესამე წრის მატჩი თბილისის „დინამოსა“ და რიგის სკა-ს გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 87:67 (35:24).

□ **ფიგურული ციგურაობა.** ევროპის ჩემპიონატზე ზაგრებში გათამაშდა უკანასკნელი „მედლები. ქალთა ერთეულებში ოქროს ჯილდო დაიმსახურა 17 წლის კრისტინა ერგატმა (გდრ). საბჭოთა სპორტსმენი, 15 წლის მარინე სანაია 21-ე ადგილზე გამოვიდა.

□ **ფრენბურთი.** **მოსკოვის „დინამოს“ ქალთა გუნდმა თავის მოედანზე მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი. ანგარიშით 3:0 დინამოელებმა დაამარცხეს „ჰანოვერი“ (გფრ). სპასუხო შეხვედრა გაიმართება ჰანოვერში 23 თებერვალს.**

□ **ჰოკეი.** მხოლოდ ორი ქულა უნდა აიღოს 5 მატჩში მოსკოვის „კრილია სოვეტოვმა“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სპბატიო სახელის მოსაპოვებლად. ლიდერმა კვირას მოსკოვში დაამარცხა გორკის „ტორპედო“ — 3:1.

სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა ცსკა-მ კვლავ წააგო, ამჯერად 0:4, ჩემპიონატის დებიუტანტთან რიგის „დინამოსთან“.

□ **ჰიდაობა.** მსოფლიოსა და ევროპის პირველობათა პრეზიერმა, თბილისელმა შენგელი ფიცხელაურმა (მსუბუქი წონა) გაიმარჯვა ძიუდოისტთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ჯარაზში. ფინალში მან დაამარცხა კარლ-ჰეინც ვერნერი (გდრ). დანარჩენი საბჭოთა ფალავნები ფინალებში ვერ მოხვდნენ. ახლა ძიუდოისტებს ელით კიდევ ერთი დიდი საერთაშორისო ტურნირი თბილისში 15-17 თებერვალს.

□ **ფეხბურთი.** გაიმართა სსრ კავშირის თასის 1974 წლის გათამაშების წელისყრა. მატჩები დაიწყება 6 მარტს, ხოლო ფინალი დანიშნულია 10 აგვისტოსათვის. თბილისის „დინამო“ პირველ მატჩში შეხვდება დუშანბეს „ჰამარსა“ და სვერდლოვსკის „ურალმაშს“ შორის გამარჯვებულს, ხოლო ქუთაისის „ტორპედო“ ისპარეზებს იაროსლავლის „მინიერთან“.

ტელევიზია

5 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო ფილმი, 11.05 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (VI კლასელთათვის. პარალელობა და ცენტრალური სიმეტრია), 11.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 12.10 — ფერადი ტელევიზია. „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთა დასახმარებლად ლექციები — ქართული ენაში, 17.15 — ბიოლოგიაში, 18.00 — განცხადებები, 18.05 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.45 — „მზადება საზაფხულო სამუშაოებისათვის“, 19.05 — „სპორტული მიმოხილვა“, 19.25 — გადაცემა — „ჯანი ბაგრატიონი“, 20.10 — „ოთამპე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბებერი მეზურნეები“ (პრემიერა), 22.00 — „ერემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია „აბა თქვენ იცით ქალბატონებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.40 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა, 18.35 — კონნარკვევი, 18.45 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 19.15 — ფილმი-სპექტაკლი „მტრები“ (მეორე ნაწილი), 20.45 — განცხადებები, 20.50 — მხატვრული ფილმი „ეს კაი კაცია“.

რა ვნახოთ, რა ვუყუროთ

რადიო

6 თებერვალი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ნაწყვეტები ქართული ოპერეტებიდან, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ფ. რეხპიგი. სიმფონიური პოემა „რომის ფიჭვები“, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — „მწერლის გზა“ (ა. გეწაძის დაბადების 50 წლისთავის გამო), 12.10 — ახალგაზრდობისათვის. „ზუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს — დამკვიდრული შრომა“, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა. 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია. 13.40 — დ. ჩიციკი. კამერული ნაწარმოებები, 14.00 — ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატთა კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — ა. ანდრიაშვილი. სიმღერები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციციანა“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — ზ. აზმაიფარაშვილი. სიმფონიური სუიტა „ძველი თბილისის სურათები“, 18.45 — რ. გლიერი. ფრაგმენტები ბალეტიდან „წითელი ყვავილი“, 19.00 — „მოგითხრობთ კომუნისტებზე“, 19.15 — ანსამბლ „გაიას“ კონცერტი, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — ოპერი სიმღერები, 20.20 — ა. კერესელიძე. ნაწყვეტები ოპერიდან „ბაში-აჩუკი“, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაკო-ერევანი“, 21.00 — „ძველისპირული“. 21.10 — ი. ჰაიდნი, კამერული ნაწარმოებები, 22.00 — ო. იოსელიანი. „აკაციის ყვავილობა“. რადიოდადგმა, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — ქართული მუსიკა მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

5 თებერვალი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდებო დასკვნა; რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ბერნარდა ალბას სახლი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — კურკას ქორწილი.

ქ. თბილისის № 75 საშუალო პროფ-ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა დამატებით მიღებას 1974/75 სასწავლო წლისათვის

სასწავლებელი ამზადებს შემდეგი სპეციალობის კვალიფიციურ კადრებს: 1. მცხობელ ყონდიტერებს, 2. მაკარონის წარმოების მემანქანეებს.

სწავლების ვადა ერთი წელია.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ქალიშვილები და ვაჟები 17-დან 25 წლამდე. სწავლის პერიოდში მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია 30 მანეთის ოდენობით და საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის ნაწილი ირსებული წესის თანახმად. რაიონებიდან ჩამოსული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით.

სასწავლებელში სწავლის პერიოდი მოსწავლეებს ეთვლებათ უწყვეტ შრომით სტაჟად.

სწავლა დაიწყება 15 თებერვალს.

სასწავლებელში მისაღებად საჭიროა შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. ცნობა ოჯახური მდგომარეობის შესახებ, 6. დახასიათება, 7. 6 ფოტოსურათი (ზომით 3X4).

განცხადებები მიიღება ყოველდღე გარდა კვირადღისა, 9-დან 17 საათამდე. სასწავლებლის მისამართია: ლენინის რაიონი, გლდანის დასახლება. **ავტობუსები:** 24 და 64 (მეტრო დიდუბიდან), **ტელეფონი: 62-12-06, 62-13-14, 62-12-73.**

კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებმა—99-93-03, 99-03-09, პ/მ მდი ვნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10. განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61. პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46. საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ხელოვნების — 93-27-38. ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21. წერილების — 99-73-24. ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60413, . ТЕ 02458

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.